პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
12
ნოემბერი
№ 265
(16391)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ — ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ!

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲘᲜᲐᲘᲓᲐ მარსაგიშვილმა სამი წლის წინათ დაამთავრა თბილისის № 24 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. მუშაობა დაიწყო თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატში მჭსლავად. იგი მალე ჩადგა მოწინავეთა მწყობრში და ცვლის დავალებას მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. ახლახან მოწინავე მუშა სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ზინაიდა მარსაგიშვილი.

ᲤᲝ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲑᲔᲚᲘᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის მშრომელებმა აჭარის მეცატრუსეებს მოუწოდეს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა მოსავალი დროულად აიღონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 80 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი.

შეჯიბრების ინიციატორებმა უკვე შეასრულეს ხუთწლიანი დავალება. ახალსოფელელებმა სახელმწიფოს 1.066 ტონა ციტრუსი მიჰყიდეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 760 ტონისა.

ხუთწლედის ფინიშზე კოლმეურნეებმა გადახინჯეს ადრე ნაკისრი ვალდებულებები და გადაწყვიტეს 5 ათასი ცენტნერი ციტრუსი მიიღონ, ნაცვლად დავალებით გათვალისწინებული 2.800 ცენტნერისა. რეკორდული მოსავალი მოიყვანა მ. ჩურკვეიძის ბრიგადამ. № 7 ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 200 ცენტნერით შეასრულოს წლიური დავალება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის № 7 ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ᲩᲣᲠᲙᲕᲔᲘᲫᲘ მანდარინის მოსავლის აღებისას.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲘᲡᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲛᲐᲛᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲐᲖᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ სსრ მებამბეებმა, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს, უამინდობის პირობებში ორგანიზებულად მოაწყეს მოსავლის აღება, ვადამდე შეასრულეს 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. მიმღებმა პუნქტებმა კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მიიღეს 450 ათასი ტონა ხამი ბამბა, რაც 70 ათასი ტონით აღემატება სახალხო-სამეურნეო გეგმას.

უზბეკეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ბრინჯისა და სიმინდის კარგი მოსავალი მოიწიეს, ორგანიზებულად აიღეს მოსავალი და შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა. დამამზადებელ პუნქტებში მიღებულია 517 ათასი ტონა მარცვლეული, აქედან 206 ათასი ტონა ბრინჯი და 196 ათასი ტონა სიმინდი.

წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დავალებები კარაყალპაკეთის ასს რესპუბლიკის, სამარკანდის, ბუხარის, ტაშკენტის, ხორეზმის, სამარყანდის, სურხანდარიის, ანდიჟანის, შირაბანის ოლქების მეურნეობებმა.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა გრძელდება.

ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად აიღონ ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, შექმნან ახალი მოსავლის მტკიცე საფუძველი, ორგანიზებულად გამოაზამთრონ პირუტყვი და შეასრულონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები.

ტაჯიკეთის სსრ სოფლის მშრომელებმა, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXV ყრილობას, ორგანიზებულად აიღეს მარცვლეულის მოსავალი და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა. დამამზადებელ პუნქტებში მიღებულია 55 ათასი ტონა მარცვლეული.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის ბრინჯის მიყიდვას, სწრაფი ტემპით იღებენ ყველა კულტურის მოსავალს, ორგანიზებულად ახორციელებენ შემდგომ-ზამთრის ღონისძიებებს, რათა მტკიცე საფუძველი შეექმნან 1976 წლის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებას.

თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკპ XXV ყრილობას, ორგანიზებულად აიღეს მარცვლეულის მოსავალი და შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვას, ახორციელებენ ღონისძიებებს ბამბის შესყიდვის გეგმის შესასრულებლად, მტკიცე საძირკველს უყრიან მომავალი წლის მოსავალს.

ᲩᲐᲠᲘᲡᲬᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔᲐ

ᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲗ და საანგარიშო დარგის მუშაკები პროდუქციის ხარისხს წარმოების ხარკეს უწოდებენ. ამ მიჩვენებლებში თავმოყრილია კოლექტივის შრომის შედეგები. სწორედ ამიტომ არის, რომ ინდუსტრიის ყველა დარგის საწარმოები, რომლებიც ახორციებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, პროდუქციის გამოშვების გადიდებასთან ერთად ამაღლებენ ტექნიკურ დონეს და აუმჯობესებენ ნაწარმის ხარისხს. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე შეიქმნა უამრავი სხვადასხვა სახეობის თანამედროვე მოწყობილობა, გამძლე მასალები, გამოშვებულია მოსახლეობისათვის საჭირო ბევრი ახალი ნაწარმი, რომლებმაც მყიდველთა აღიარება მოიპოვა.

ჩვენი დიადი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში შექმნილი პროდუქციის მაღალი შეფასების მოწმობაა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, რომელიც ენიჭება საუკეთესო მსოფლიო ნიმუშების დონეზე მყოფ ან მათზე უკეთეს ნაკეთობებს.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში საქართველოს მრეწველობამ აითვისა და დაიწყო თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი მრავალი ახალი სახის ნაკეთობათა წარმოება. წლევანდელი წლის პირველი ოქტომბრისათვის ხარისხის ნიშანი მინიჭებული ჰქონდა 256 ნაწარმს, მათ შორის წლეულს ცხრა თვეში იგი 100 დასახელების პროდუქციას მიეკუთვნა.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებასთვის ლაშქრობაში დაიბადა ბევრი შესანიშნავი ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავს პროდუქციის გამაშვების გადიდებას, მისი ხარისხის ამაღლებას. ამ ინიციატივებიდან აღსანიშნავია ბათუმის მანქანათამშენებლო ქარხნის თაოსნობა, რომელიც ითვალისწინებს ყოველ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე მიტი პროდუქციის გამოშვებას, მუშაობის ხარისხის ამაღლებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს ინიციატივა და სამეურნეო ხელმძღვანელებს პარტიულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხარისხობრივი მუშაობის გაუმჯობესებას.

ხარისხის გაუმჯობესებისათვის დაუცხრომლად ზრუნავს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროსამშენებლის“ (დირექტორი ა. ბუაძე) კოლექტივი. ელექტროშტაბელიორზე, რომლის წარმოებაც აქ აითვისეს, დიდი მოთხოვნილებაა, უამრავი შეკვეთები მოდის. აღსანიშნავია, რომ ამ პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.

შეიძლება ბევრი საწარმო დავასახელოთ, რომელთა კოლექტივები უშვებენ მშვენიერ ნაწარმს, განუწყვეტლივ სრულყოფენ წარმოებას, აუმჯობესებენ ხარისხს, აფართოებენ ასორტიმენტს. ამ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა (დირექტორი ვ. გეგეძე). აქაურ პროდუქციაზე ახლა დიდი მოთხოვნილებაა. სავაჭრო მაღაზიებს ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია სიამოვნებით მიაქვთ. პროდუქციის მაღალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მკერავებმა წლეულს ათ თვეში გეგმის გადამეტებით მომზმარებელს 1,8 მილიონი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი მიჰყიდეს. აღსანიშნავია, რომ საერთო პროდუქციის მთელი რაოდენობის 6 პროცენტი მზადდება ხარისხის ნიშნით. ასევე მომზმარებელი სიამოვნებით ყიდულობს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორის მოგაოლეობის შემსრულებელი ა. ბალაურია) ნაწარმს. აქ სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის დავალებებს.

მაგრამ პროდუქციის სრულყოფა და განახლება ჯერ კიდევ ყველგან როდი წარმოებს თანმიმდევრულად. რედაქციაში ბევრი წერილი მოდის ზოგიერთი სახეობის ნაწარმის დაბალი ხარისხისა და მცირე ასორტიმენტის შესახებ. ბევრგან ვერ გარდაქმნეს მუშაობა მოთხოვნილების დონეზე, უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას, არღვევენ მომქმედ სტანდარტებს. ზოგჯერ იმდენად დაბალი ხარისხის ნაწარმს ამზადებენ, რომ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო იძულებულია სავაჭრო ორგანიზაციებს აუკრძალოს მათი სარეალიზაციოდ მიღება. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის ნიგოზიანის ჩაის ფაბრიკას, (დირექტორი ი. აფხაზავა) აეკრძალა 3,322 კილოგრამი შავი ბაიხაო ჩაის რეალიზაცია. ასეთი საწარმოები, რომლებსაც აეკრძალათ წუნდებული პროდუქციის რეალიზაცია, სამწუხაროდ, ბევრია.

ცხადია, ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ გრძნობენ პასუხისმგებლობას გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების — „გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის ამაღლების შესახებ“ — შესაბამისად შემოღებულია დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური სანქციები. თუ საწარმო პროდუქციას სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით ადამზადებს, ამ პროდუქციიდან მიღებული მოგების თანხა ბიუჯეტის შემოსავალში გადაირიცხება და შეტანილი არ იქნება საანგარიშო მონაცემებში პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმის შესრულებაში. ასევეა მკაცრმა ეკონომიურმა სანქციებმაც კი გონზე ვერ მოიყვანა მთელი რიგი დარგების სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები. მაგალითად, ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებას (დირექტორი ა. ტოფაძე) უხარისხო პროდუქციის რეალიზაციისათვის გეგმის შესრულებიდან მოუხსნეს 51,5 ათასი მანეთი, ჯორის ბამბეულის კომბინატს (დირექტორი ჯ. შარიქაძე) — 7,5 ათასი მანეთი.

როგორც ვხედავთ, წუნით გამოწვეული ზარალი მთელ რიგ ფაბრიკებსა და ქარხნებს მძიმე ტვირთად აწევთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერაც არ ჩანს ქმედითი ღონისძიებები, გზას რომ გადაუღობავდა წუნის მკეთებლებს. ასე მუშაობა აღარ შეიძლება. დარგობრივმა სამინისტროებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში მხოლოდ ისეთი საქონელი გამოდიოდეს, როგორიც მოსახმარებელს მოსწონს და შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს.

ყველა ჩვენი საქონელი გამაძლე და ლამაზი რომ იყოს, საჭიროებით რომ შეესაბამებოდეს საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნილებასა და გემოვნებას, ამისათვის განუხრელად უნდა იზრუნონ სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენონ წარმოების რეზერვები, აამაღლონ საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების როლი და პასუხისმგებლობა, კოლექტივში შექმნან საზოგადოებრივი შეურიგებლობის ვითარება ტექნოლოგიის ყოველგვარი დარღვევისადმი, წუნის მკეთებლებისადმი, უნარიანად გამოიყენონ საუკეთესო შრომისათვის წახალისების მორალური და მატერიალური სტიმულები.

ოქტომბრის დღესასწაულამდე მარტო ჩვენი ისტორიული მოღწეულების დათვალიერება როდი იყო, არამედ გადაუჭრელი ამოცანების დათვალიერებაც, რომლებზეც პარტია ამახვილებს ხალხის ყურადღებას. მომავალი მეათე ხუთწლედი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის. მიურნეობრივი მეთოდების შემდგომ სრულყოფას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას მოითხოვს.

საქართველოს ინდუსტრიის ყველა დარგის კოლექტივები ემზადებიან, რომ სკკპ XXV ყრილობას ახალი საწარმოო ნაკეთობებით, ყოვლად ობანზე მუშაობის ხარისხის ამაღლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება წინასაყრილობო შეჯიბრების უმნიშვნელოვანესი მიზანია. ეს, ეს, თბილისის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის, საბჭოთა მარკის ღირებულებათვის.

ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ 49 ᲓᲦᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ქუთაისის მრეწველობამ ახალი წარმატება მოიპოვა, სამშობლოს პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმის შესრულება უსატაკა. წარმატებით სრულდება წლევანდელი წლის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა, მინის ტარის ქარხნების, აბრეშუმის და სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „ველათის“ კოლექტივებმა. კომუნისტთა დიდი ფორუმის ღირსეულად შეხვედრისათვის დამკვრელური შრომა გრძელდება.

Დ. ᲒᲘᲓᲔᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲪᲘᲙᲚᲘᲗ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის (დირექტორი ო. სულაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაქრაძე) კოლექტივმა წლეულს მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით კვლავ გაამაჯანსაღა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და აგერ მეორე წელია შეშვიდიდ ზედიზედ ინარჩუნებს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ დროშას.

მეტალურგებმა 103,4 პროცენტით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, კოქსი, აგლომერატი, მილები.

ბევრმა საამჭრომ, ცვლამ, ბრიგადამ სამშობლოს უკვე უპატაჟა ხუთწლიანი გეგმების შესრულება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბოელექტროცენტრალის, რკინისა და ფოლადის საამქროს კოლექტივებმა, აგრეთვე დგან 140-ის № 2 ბრიგადამ, რომელსაც კ. შაორშაძე ხელმძღვანელობს. განსილილ პერიოდში ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 5.700 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა და ორმაგად გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება.

Ზ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური საბითუმო ბაზის „საქგალანტერეას“ კოლექტივმა სკკპ XXV ყრილობისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა — საქონელბრუნვის ხუთწლიანი გეგმა 100 პროცენტით შეასრულა.

ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება, რომელიც საქონელბრუნვის გადიდებას 8 მილიონი მანეთით ითვალისწინებდა, ჯერ კიდევ 1 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შესრულდა. ეს რეფორმის აღნობა საბითუმო ბაზის „საქგალანტერეას“ მმართველმა გ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ.

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲒᲠᲘᲜᲘᲐ. (საკ. კორ.). სკკპ XXV ყრილობის ღირსეულ შეხვედრასთან დაკავშირებულ ინიციატივებს ავითარებენ ᲒᲠᲘᲜᲘᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲥᲘᲡ ᲓᲔᲞᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲔᲠᲥᲘᲡ ᲓᲔᲞᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲣᲚᲘ

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

მოვალეობა და პასუხისმგებლობა

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რა დადებითი პრაქტიკული შედეგი მოსდევს პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის ინიციატივით და უნარიან მოქმედებას, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელ დამოკიდებულებას. ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

მომხსენებელმა — ქარხნის პარტბიუროს მდივანმა შ. კაკაძემ, კომათის მონაწილეებმა: მექანიკური საამქროს მოარავმა ა. ფუტკარაძემ, ქარხნის დირექტორმა გ. ცინცაძემ, სხვულების შემომპრეელმა ლ. კაპანაძემ, ზეინკალმა ო. სირბაძემ და სხვებმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყვეს, რომ საწარმოს კოლექტივმა უკანასკნელ ხანს თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. გაიზარდა წარმოების მოცულობა, აითვისეს ახალი მანქანები, გააუმჯობესეს მანქანა-მოწყობილობათა ხარისხი. ყოველივე ეს კი მოხდა ქარხნის რეკონსტრუქციის პროცესში, სახელმწიფო გეგმების შეუმცირებლად. მარტო წლეულს აქ ვადამდე გამოშვეს 11 ჩაის ფაბრიკის აღჭურვილობა.

ფართო გზა ეძლევა ადამიანთა ინიციატივას, თაოსნობას. ამ ზაფხულს დაიბადა შესანიშნავი ინიციატივა — საწარმოო ფართობის ეფექტიანად გამოყენებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა, რასაც ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა შრომითმა კოლექტივმა დაუჭირა მხარი.

მარგვეის მეცნიერულმა სისტემამ ქარხნის ეკონომიკაში გადამწყყეტი სიტყვა თქვა. ამით უნდა აიხსნას სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულება. რესპუბლიკის 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში წლის ბოლომდე ქარხანამ უნდა გამოუშვას 440 ათასი მანეთის პროდუქცია. 9 თვეში გამოშვებული იყო 318 ათასი მანეთისა.

მთლიანად მეცხრე ხუთწლედში ქარხანამ სახელმწიფოს 6 მილიონ მანეთზე მეტი მოგება მისცა, ამ თანხით შეიძლება ერთი ასეთივე საწარმოს აგება.

სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაცია პარტიული ორგანიზაციის მთავარი საზრუნავია. წინა ხუთწლედთან შედარებით ბევრად გაუმჯობესდა მუშების საყოფაცხოვრებო პირობები, გაიზარდა მათი მატერიალური დაინტერესება, სტიმულირება, ამაღლდა შრომის დისციპლინის დონე. მიუხედავად ამისა, კრებაზე ისიც ითქვა, რომ ცუდად სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებები, განსაკუთრებით ის პუნქტები, რომლებიც ზამთრისათვის ქარხნის მზადებას ეხება, სახურავში ზოგან წვიმა ჩამოდის. ჯერ კიდევ დიდია მუშათა დენაღობა. ქარხანას ტოვებენ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნიც. ეს კი დამოფიქრებელია. დირექცია და პარტიული ორგანიზაცია საჭირო ზომებს არ იღებენ მათ შესანარჩუნებლად. აღინიშნა, რომ ახალბედებთან საჭიროა მეტი ადმზრდელობითი მუშაობა, მოწინავე მუშების მაგალითით შთაგონება.

კრების მონაწილეებმა თქვეს, რომ თუმცა კოლექტივის საერთო მაჩვენებლები კარგია, მაგრამ ეს როდი ითქმის ყველა საამქროსა და ბრიგადაზე. აი, მაგალითად, მექანიკური საამქროს, რომელიც აქ ყველაზე დიდია, ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა კომუნისტური შრომის სპეციალი წოდება, მაგრამ საამქროს მაღალი წოდება ბოლომდე ვერ შეინარჩუნა, ჩამორჩა. სხვა კოლექტივებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში დამარცხდა, ბოლოს კი ის მოხდა, რომ მას ჩამორთვა კომუნისტური შრომის წოდება. აღსანიშნავია, რომ საამქროში არც ერთი კომუნისტი და ძველი გვარდიის მუშა ჩამორჩენილი არ არის. მაგრამ, რა მოხდა, რაშია საქმე? ჩამორჩენის მიზეზების შესწავლისას პარტბიუროს მიმაქცია ყურადღება, რომ მარტო ის როდი ქმარა თვითონ, როგორც კომუნისტი, მუშობდე კარგად, საქმე ის არის, რომ მიაღწიო საერთო აქტივობას, ამასთან აქ აკლიათ სპეციალისტები, ახალგაზრდები გორბაჩევ რთული მექანიზმების ათვისებას.

საყვედურები ითქვა საიარაღო საამქროს მიმართაც, რომელიც სხვა საამქროებს დროულად ვერ უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი იარაღებით. ჩამორჩენის საღიკვიდაციოდ მოწინავე მუშები თვითონ შეიდგნენ ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდასა და მომზადებას.

კრებაზე კრიტიკულად ითქვა, რომ საამქრო ორგანიზაციებში ირღვევა პარტიული კრებების მოწვევის გრაფიკები. აშკარად განიხილავენ ადგილობრივი ხასიათის საკითხებს საბჭოთა ხალხის მიერ მეცხრე ხუთწლედში მოპოვებულ წარმატებებს, დასახავს მომავლის ახალ, გრანდიოზულ პროგრამას. ამ პროგრამის განხორციელებაში ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი თავის წვლილს შეიტანს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ჩვენი საუბარი

ძველითი რომ იყოს ეს ლექციაა...

ეხმაურებიან ცხაკაიელ კომუნისტებს

ლექტორი სოფელში... ეს სიტყვები ცოტას როდი ნიშნავს. დიდია როლი მართალი პოლიტიკური სიტყვისა.

ჩემი სამოქმედო ასპარეზი ძირითადად კოლმეურნეობებია. ყოველ ლექციაში ყურადღებას ვამახვილებ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის, რეზერვების გამოვლინების, სიახლეთა დანერგვისა და მთელ რიგ სხვა საკითხებზე. ვცდილობ, თხრობა ისე წარვმართო, რომ მასში აუცილებლად გამოვიყენო ადგილობრივი მაგალითი.

ერთ-ერთი ლექციის დროს, როცა თიეს შემგროვებლებთან გსაუბრობდი, შეეწინეწინე, რომ რამდენიმე თიეს ზვინი განსაკუთრებით ლამაზად იყო დადგმული. ისინი კერძო პირებისა აღმოჩნდა. ლექციის დროს ეს ფაქტი გამოვიყენე ამის ცოცხალ მაგალითად, რომ საზოგადოებრივ პროდუქტს რამდენიმე ნაკლები მზრუნველობის დაღი აზის, მაშინ როცა კერძო პირებისა უფრო მოვლილი, ფაქიზი ნამუშევარი ჩანს. ორიოდე კაცს უხერხულად გაეღიმა, ვიგრძენი, რომ მათ კერძოსაკუთრულ ინსტინქტს ერთი აგური მაინც გამოაკლდა. ესეც ხომ მიღწევაა?!

ლექტორისა და აგიტატორის იმ სამ ძირითად მონაცემს, რომელსაც თავის გამოსვლაში ცხაკაიელი ი. ქანდარავა ასახელებს, მე კიდევ ერთს დავუმატებდი: ეს არის თანდაყოლილი პედაგოგიური ალღო. სწორედ პედაგოგიური ალღო, დიდ შრომისმოყვარეობასთან ერთად, მდგომარეობაში გარკვევის ინტუიცია, ნაჭი და უნარი — ყოველივე ეს ხომ ლექტორის ერუდირების, სრულყოფის ძირითადი წყაროა. ამიტომ ვეთანხმები ტყიბულელ აგიტატორ ე. ვახტანგაძეს, რომელიც ამასწინათ თავის წერილში აყენებდა საკითხს და ორატორისაგან მოითხოვდა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში დახელოვნებას.

რა თქმა უნდა, ერთია — ლექცია წაიკითხო მეტნაკლებად ერთგვაროვან აუდიტორიაში და სულ სხვა საქმეა იგივე ლექციით წარსდგე ე. წ. ჭრელი საზოგადოების წინაშე. ამიტომ ყურადღებას ვაქცევ ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც. თხრობის ხელისგამაგებლად ვუსადაგებ მსმენელთა ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტიკურ მომზადებას. ვცდილობ, გავითვალისწინო ყველა წვრილმანი, რასაც ზოგჯერ არსებითი მნიშვნელობა აქვს. ერთხელ დამჭირდა და საუბარში ვახსენე სენაკის მაზრის გლეხთა გამოსვლა. ერთ-ერთი მსმენელი დაინტერესდა— რა ჰქვია დღეს სენაკს. დავდებენ. ერთი ბერიკაცი წამომშეელა, გასაჭირისაგან მიხსნა. ამ დღიდან ვცდილობ გაცილებით იმაზე მეტი ვიცოდე, რაც კონკრეტულად ლექციისათვის მჭირდება.

ამ ბოლო დროს პრაქტიკაში შემოვიღეთ, რომ ლექტორები, პარტიის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან ერთად ვთანხმდებით თუ ვინ რა თემაზე მოვამზადოთ ლექცია. შემდეგ საგულდაგულოდ ვემზადებით. ორი თვის განმავლობაში ამ ლექციით შემოვიარეთ სოფლებს, მონაცვლეობით ვესტუმრებით კოლმეურნეობებს. ასეთი მუშაობა უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე სახელდახელოდ, მოკლე დროში „გამომცხვარი“ რამდენიმე ლექცია.

როგორც პრაქტიკა დასტურებს, ლექციური პროპაგანდის შედეგიანობა მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რაოდენ თეორიულად კარგად არის მომზადებული ლექცია, არამედ იმაზეც, თუ მეთოდური თვალსაზრისით რამდენად სწორად შეეძელით თემის გადმოცემა და ილუსტრირება. სქემები, დიაგრამები, ოუკა, ინფორმაციის ტექნიკური საშუალებები, მაგნეტოფონი, კინოფილმი და სხვა, თუ ასეთი გვაქვს, ეფექტურობის საუკეთესო პირობებს ქმნის. მაგრამ ამ მხრივ ჩვენ დიდი ნაკლოვანებები გვაქვს, სათანადოდ არ ვართ მომარაგებული თვალსაჩინოებით, ტექნიკური მასალებით.

ვცდილობ ლექცია ზეპირად, ტექსტის წაუკითხავად გადავცეს. ყველა ახალბედა ლექტორს ვურჩევ, როგორც იტყვიან, რეულში ჩაუხედავად. წარმართოს თხრობის დიდი ნაწილი მაინც. ცოცხალ სიტყვას, უშუალოდ ლექტორის ზეპირად გამოსულს აუდიტორიაზე დიდი ზემოქმედების ძალა აქვს.

რასაკვირველია, ძიება, სიახლის გამოყენება ლექციურ პროპაგანდისაც სჭირდება. მეტი ფიქრი და ზრუნვაა საჭირო მინდვრად ლექციური პროპაგანდის სრულყოფისათვის. მინდორში ხომ არა გვაქვს კომფორტულად მოწყობილი დარბაზი, ზოგჯერ მსმენელიც სახელდახელოდ, სამუშაო ტანსაცმლით, შენელებული გაწყობილებით იკრიბებიან. არიან ადამიანები, რომლებსაც ასეთ პირობებში შეუძლიათ ლექციის მოსმენა, მაგრამ თვალსაზრისით რამდენად სწორად შეეძელით თემის გადმოცემა და ილუსტრირება. სქემები, დიაგრამები, ოუკა, ინფორმაციის ტექნიკური საშუალებები, მაგნეტოფონი, კინოფილმი და სხვა, თუ ასეთი გვაქვს, ეფექტურობის საუკეთესო პირობებს ქმნის. მაგრამ ამ მხრივ ჩვენ დიდი ნაკლოვანებები გვაქვს, სათანადოდ არ ვართ მომარაგებული თვალსაჩინოებით, ტექნიკური მასალებით.

ვცდილობ ლექცია ზეპირად, ტექსტის წაუკითხავად გადავცეს. ყველა ახალბედა ლექტორს ვურჩევ, როგორც იტყვიან, რეულში ჩაუხედავად. წარმართოს თხრობის დიდი ნაწილი მაინც. ცოცხალ სიტყვას, უშუალოდ ლექტორის ზეპირად გამოსულს აუდიტორიაზე დიდი ზემოქმედების ძალა აქვს.

რასაკვირველია, ძიება, სიახლის გამოყენება ლექციურ პროპაგანდისაც სჭირდება. მეტი ფიქრი და ზრუნვაა საჭირო მინდვრად ლექციური პროპაგანდის სრულყოფისათვის. მინდორში ხომ არა გვაქვს კომფორტულად მოწყობილი დარბაზი, ზოგჯერ მსმენელიც სახელდახელოდ, სამუშაო ტანსაცმლით, შენელებული გაწყობილებით იკრიბებიან. არიან ადამიანები, რომლებსაც ასეთ პირობებში შეუძლიათ ლექციის მოსმენა, მაგრამ თვალსაზრისით რამდენად სწორად შეეძელით თემის გადმოცემა და ილუსტრირება. სქემები, დიაგრამები, ოუკა, ინფორმაციის ტექნიკური საშუალებები, მაგნეტოფონი, კინოფილმი და სხვა, თუ ასეთი გვაქვს, ეფექტურობის საუკეთესო პირობებს ქმნის. მაგრამ ამ მხრივ ჩვენ დიდი ნაკლოვანებები გვაქვს, სათანადოდ არ ვართ მომარაგებული თვალსაჩინოებით, ტექნიკური მასალებით.

ვცდილობ ლექცია ზეპირად, ტექსტის წაუკითხავად გადავცეს. ყველა ახალბედა ლექტორს ვურჩევ, როგორც იტყვიან, რეულში ჩაუხედავად. წარმართოს თხრობის დიდი ნაწილი მაინც. ცოცხალ სიტყვას, უშუალოდ ლექტორის ზეპირად გამოსულს აუდიტორიაზე დიდი ზემოქმედების ძალა აქვს.

დღეს ცოდნაა ლექციაა...

ეხმაურებიან ცხაკაიელ კომუნისტებს

საოლქო სემინარზე

სოციალისტური შეჯიბრება მჭიდროდ არის დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასთან, ვინაიდან შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მასალებით, ნედლეულითა და საკომპლექტო ნაკეთობებით უწყვეტი და დროული მომარაგება.

დღეისათვის ბევრი საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების მუშაობა ვერ უპასუხებს თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს.

მაინც რა არის მომარაგებაში შეფერხების მიზეზები? ზოგიერთი მუშაკის უპასუხისმგებლობა, არაობერატიულობა, შრომის არასწორი ორგანიზაცია, მუშაობის მოძველებული, პრიმიტიული მეთოდების გამოყენება, კვალიფიკაციის დაბალი დონე.

მაგრამ ამასთან არის ისეთი ხელისშემშლელი პირობები, რომელთა გამოსწორება ზოგჯერ მუშაკების ძალას აღემატება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი. ხშირია შემთხვევები, როცა არამცთუ შემხვედრი გეგმები, არამედ ძირითადი საწარმოო პროგრამაც არაა მთლიანად უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსებით. მაგალითად, წლეულს ელმავალსმშენებლო ქარხანას ძირითადი გეგმისათვის 12.400 ტონის ნაცვლად გამოუყვეს 11.340 ტონა, ე. ი. 1.060 ტონით ნაკლები შავი ლითონი.

ხშირად მატერიალურ რესურსებზე ფონდს მომარეგების რამდენიმე ორგანიზაციიდან ეღებულობთ. მასალების ფონდების გამოყოფაც არასწორად ხდება — განვლილი წლის საფუძველზე, ე. ი. საწარმოო პროგრამა ყოველწლიურად იზრდება, სანედლეულო ბაზა კი იგივე რჩება.

საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ საწარმოო უბნები თვის პირველ ნახევარში ხშირად უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო რაოდენობის მასალებით, დეტალებითა და კვახძებით. სამაგიეროდ, მესამე ათეულიერში მეტად დაძაბული მუშაობაა — გეგმა უნდა შესრულდეს. ამიტომ გეგმური დაგვიანების 70 პროცენტზე მეტი სწორედ თვის მესამე დეკადაზე მოდის. ასეთი არარიტმულობა მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებებთან არის გამოწვეული და იერიშობანა ცუდ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებაზე, მომჭირნეობის რეჟიმზე, ამასთან ზღუდავს სამეურნეო რეფორმით შექმნილ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებას.

როგორ ასრულებენ დღეისათვის ზოგიერთი მომწოდებლები სახელშეკრულებო ვალდებულებას? ხშირ შემთხვევაში ძალიან ცუდად. მაგალითად, სისტემატურად არღვევენ მასალებისა და საკომპლექტო ნაკეთობათა მოწოდების გეგმას გაერთიანების ცალკეული მომწოდებლები. წლეულს ივლისში ქ. კალინუგინის (ვლადიმირის ოლქი) ფერადი ლითონების გადამუშავებელმა ქარხანამ ვერ უზრუნველყო სპილენძის ლენტის დროული მოწოდება, აგვისტოში ქ. ლაბეცკის მეტალურგიულმა ქარხანამ ფურცლოვანი ფოლადის მოწოდების გეგმა ჩაშალა, აგვისტოშივე ქარხანა „თბილისელიტმა“ მინაქარსოვანი პლასტმასი ვერ მიაწოდა გაერთიანების ქარხანა „ელექტრომრავას“, ვერ ასრულებს მოწოდების გეგმას აგრეთვე თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ქარხანაც. ხშირია მომარაგება-გასალების ბაზებიდან მასალების შეფერხებით შემოზიდვის ფაქტები. გაძნელებულია თბილისის ლითონბაზიდან შავი და ფერადი ლითონების, ნავთობბაზიდან საზეთე და საწვავი მასალების ცენტრალიზებული შემოზიდვა. როგორც ცნობილია, პროდუქციის მოწოდების ვადის შეუსრულებლობა სახელმწიფო დისციპლინის ერთ-ერთი სერიოზული დარღვევაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ლმობიერად ისჯება მომწოდებელი ორგანიზაცია.

მომწოდებელმა უნდა იცოდეს, რომ მიწოდების გეგმის ჩაშლისათვის მას ჯაჯარად მოსთხოვენ პასუხს. **საჭიროა კოოპერირებული მიწოდების გეგმის შესრულების პასუხისმგებლობის გაძლიერება, რაც კოლექტივების შორის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფდა დამნაშავის ხარჯზე დანაკარგების სრულ ანაზღაურებას.** მართალია, არსებობს ჯარიმები, მაგრამ ისინი იმდენად მცირეა, რომ ვერ ძლევა დარღვევის აღმოფხვრის გარანტიას.

მეათე ხუთწლედში შესამჩნევად გაიზრდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების როლი, საგრძნობლად გართულდება მუშაობაც — მომავალი ხუთწლედი ხომ ხარისხის ხუთწლედია. ამიტომ აუცილებელი იქნება უზრუნველყოთ მომარაგების სამსახურის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდაც. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. საჭირო იქნება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ თანამედროვე გამოთვლითი მანქანების გამოყენება, ეცოდინებათ საქონელმცოდნეობის და სასაწყობო მეურნეობის საფუძვლები. მომმარაგებელს თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში ხშირად უხდება არა მარტო ეკონომიური, ორგანიზაციული ან ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა, არამედ სამართლებრივი, სოციალური და ტექნოლოგიური საკითხების მოგვარებაც. სამუშაო დროის დიდ ნაწილს მომარაგების სამსახურის მუშაკები მიმდინარე და ავარიული საკითხების გადაჭრაზე ხარჯავენ, ხოლო პერსპექტივაზე ნაკლებად ფიქრობენ, პერსპექტივასთან მიმდინარე საკითხების სწორი შეხამება კი ახალი წარმატებების საწინდარია. წარმოების უწყვეტ და სტაბილურ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე დიდ გავლენას ახდენს ისეთი პროგრესული ფორმების განვითარება, როგორიც არის პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირი და გარანტირებული კომპლექსური მომარაგება.

პირდაპირი სამეურნეო კავშირი აადვილებს და აჩქარებს მომარაგების პროცესებს, დადებით გავლენას ახდენს მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, მარგის ბუნვადობასა და მის დონეზე, წარმოების რიტმულობაზე; გარდა ამისა ხელს უწყობს საწარმოო სიმძლავრეთა უფრო მოქნილად მანევრირებას, საწარმოს შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას, რაც საბოლოოდ ამაღლებს წარმოების ეფექტიანობას. აი ის მონაცემები, რაც პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირის განვითარებას მოჰყვება ხოლმე. სამწუხაროდ, არაიშვიათად საგეგმო ორგანოების მიზეზით ირღვევა დიდი ხნის წინათ დამყარებული საწარმოთა ურთიერთკავშირები.

პირდაპირი სამეურნეო კავშირის გარდა სულ უფრო ფართო განვითარებას პოულობს საწარმოთა მომარაგების ისეთი პროგრესული ფორმა, როგორიც არის გარანტირებული კომპლექსური მომარაგება. მომარაგების ამ ფორმისას მომარაგება-გასალების ტერიტორიული სამმართველოები, მაგალითად, თავიანთ თავზე ღებულობენ მატერიალურ პასუხისმგებლობას, საწარმოთა არა მარტო სასაწყობო ფორმის მომარაგებაზე, არამედ ტრანზიტით მასალების თავისდროულ მიღებაზეც.

ამჟამად, მრავალ მანქანათსამშენებლო საწარმოში დიდი რაოდენობით არის მარაგი მოთავსებული, იგი ხშირ შემთხვევაში უძრავად არის, სამეურნეო ბრუნვიდან გამოთიშულია 3-4 წლით, ეს გასაგებია, საწარმო მას „შავი დღისათვის“ ინახავს. მაგრამ სამწუხაროა, რომ ამავე სახის მასალის უქონლობის გამო მეზობელი საწარმო გაჩერებულა.

გარანტირებული კომპლექსური მომარაგების დროს კი საწარმო მარაგს უმეტეს ნაწილს, როგორც წესი, მომარაგების ორგანოებს გადასცემს. მომარაგების ამ ახალი ფორმის დანერგვით სახალხო მეურნეობაში დიდძალი საწარმოო მარაგის ჩართვა შეიძლება. მომარაგება-გასალების ორგანოებს ამ შემთხვევაში მეტი მატერიალური რესურსების ოპერატიული მანევრირების საშუალება ექნებათ.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკთა მიმართ მომთხოვნელობის გაძლიერებასთან ერთად, რომლებიც უშუალო პასუხისმგებელნი არიან წარმოების რიტმული მუშაობის უზრუნველყოფაზე, არ უნდა დავივიწყოთ მათი მატერიალური და მორალური წახალისებაც.

ზოგიერთი პარტიული თუ საგეურნეო მუშაკი ერთგვაროვან უგულებელყოფს სოციალისტური შეჯიბრების ფორმად გაშლას მომარაგების სამსახურში. თითქოსდა მომმარაგებელს დრო არა ჰქონდეს, არ ეცალოს შეჯიბრებისათვის. ყოველდღიური პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ეს შეხედულება უსაფუძვლოა.

საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მომარაგების სამსახურის კომუნისტებს მეცხრე ხუთწლედის ფინიშზე ბევრი აქვთ საზრუნავი და გასაკეთებელი. იმჟამად მატერიალურ-ტექნიკური სამსახური მობილიზებულია ენერგიული შრომით დასძლიოს ყველა ნაკლოვანება, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საგეგმო დავალებათა და სოციალდებულებათა პირნათლად შესრულებას, დაღირსეულად შეხვდეს საქართველოს კომპარტიის XXV და სკკპ XXV ყრილობებს.

ვ. ზანგურაშვილი,
საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების ჯგუფის უფროსი.

ეფექტური ორგანიზაციის ეკონომიური ეფექტიანობა

მოგება, ხარისხი, რენტაბელობა

ჩაის კულტურის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 1963 წლიდან დაინერგა. **იმ წელს** პირველად გამოიყენეს ჩაის საკრეფი მანქანები და კარგი შედეგიც მიიღეს — 166,4 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩაბარეს მრეწველობას.

1968 წელს მეურნეობაში შეიქმნა კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადები და რგოლები. ბრიგადის წევრებს შრომა უნაზღაურდებათ წარმოებული პროდუქციის მიხედვით, რამაც აამაღლა მათი პასუხისმგებლობა, დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

მეცხრე ხუთწლედი ახალი ეტაპი იყო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის. ნაყოფიერი შრომის შედეგად მექანიზატორებმა და მეჩაიეებმა ხუთწლედის ოთხ წელიწადში მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 15.318 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.860 ტონისა, 1.458 ტონით მეტი, ვიდრე ეს ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. მათ შორის მანქანებით მოკრეფილია 9.046 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.000 ტონისა.

მეურნეობისათვის მეტად ბარაქიანი გამოდგა 1974 წელი. შარშან აქ მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 4.606,8 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.570 ტონისა, აქედან მექანიზებულად მოკრეფილია 2.709,7 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.250 ტონისა. გეგმის ზეგით მოკრეფილია 459,7 ტონა. ეს ერთხელ კიდევ მეტყველებს კომპლექსური მექანიზაციის უპირატესობაზე.

წელს კიდევ უკეთესად იმუშავეს მეურნეობის მეჩაიეებმა.

ხუთწლედის მანძილზე 388 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა კლიმენტი ლაშხიამ. ეს ციფრი მზა პროდუქციაზე რომ გადავიანგარიშოთ, მივიღებთ არომატული ქართული ჩაის ორ მილიონ 50 გრამიან დასტას! კ. ლაშხიამ სამ წელიწადში შესრულა პირადი ხუთწლიანი დავალება და სამშობლოს გეგმის გადაჭარბებით მისცა 126 ტონა ჩაის ფოთოლი.

ასეთი თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისათვის მექანიზატორ კლიმენტი რაქდენის-ძე ლაშხიას წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია. იგი ჩვენს ქვეყანაში პირველი მეჩაიე-მექანიზატორია, რომლის მკერდს ამშვენებს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სამედალი.

მაღალი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე მექანიზატორებს გალუში სახოკიას, ინდიკო გულორდავას, მელორ კაციას და სხვებს.

კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შედეგად 1963 წელთან შედარებით 1974 წელს საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 2.387 კილოგრამით გაიზარდა. უკანასკნელ წლებში ჩაის ფოთლის 55-58 პროცენტი მანქანებით იკრიფება.

საერთოდ საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე — 1963 წელს — 5.002 კილოგრამს შეადგენდა, 1971 წელს — 5.620, 1974 წელს — 7.389 კილოგრამს მიაღწია.

მეურნეობაში კრეფის მექანიზაციის შედეგად გადიდდა ჩაის წარმოება. ამასთან შემცირდა პროდუქციის წარმოების შრომითი და ფულადმატერიალური დანახარჯები. თუ 1971 წელს მეურნეობამ ხელით მოკრეფილი ერთი ცენტნერი ჩაის ფოთლის თვითღირებულება საშუალოდ 56,06 მანეთს უდრიდა, მექანიზებული წესით მოკრეფილი ჩაის ფოთლის თვითღირებულება 32,06 მანეთს არ აღემატებოდა. 1972 წელს ამ მაჩვენებლებმა, შესაბამისად 72,39 და 26,83 მანეთი, 1973 წელს კი 56,97 და 26,95 მანეთი, ხოლო 1974 წელს 55,35 და 30,27 მანეთი შეადგინა. იგი კიდევ უფრო შემცირდა 1975 წელს.

1973 წლიდან მეურნეობამ ზედიზედ ორჯერ მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია.

მეცხრე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წლის ზღუდეების აღებისათვის ბრძოლა დროულად დაიწყო მეურნეობამ, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სახელმწიფო გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

მეურნეობის წლიური გეგმა-ვალდებულება 4.700 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს. მათ შორის მანქანებით 2.500 ტონას. ფაქტიურად მოკრიფეს 4.776 ტონა, აქედან მანქანებით 2.640 ტონა. ეს ვალდებულებები წარმატებით შესრულდა. ამ მაჩვენებლებში გარკვეული წვლილი მიუძღვით მექანიზატორებს.

პროდუქციის გაიაფებას სხვადასხვა საშუალებებიდან აღსანიშნავია სასუქის საფუძვნელი აგრეგატი, კეთილმოწყობილი მექანიკური სახელოსნო. წესრიგი დამყარდა საწვავ-საცხების მეურნეობაში. ადრე საწვავის ჩასხმა პრიმიტიულად ხდებოდა (ასხურებითა და ვედროებით), ამჟამად კი მექანიზებულია.

იმ მიზნით, რომ შეამცირონ არასასარგებლო სვლები და ცვლა, დაზოგონ საწვავი, გაზარდონ მანქანების წარმადობა და შრომის ნაყოფიერება, რაც პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის ამაღლების საფუძველია, სამეშაო რბიენტებზე საწვავის გაწყობა სპეციალური მანქანებით ხდება.

მეურნეობაში შრომის მწარმოებლობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვამ, მეურნეობის რაციონალური გაძღოლის სისტემის შემოღებამ, შრომის ნორმირების და ანაზღაურების მოწესრიგებამ, სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ და მისმა საჯაროობამ, მატერიალური წახალისებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებამ.

ვ. ადამია,
სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო სამეცნიერო საკვლევი და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

ზეგზეგის ზეგზეგის ზეგზეგის

დროით უზრუნველყოთ წარმოება მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით

ზუგდიდის რაიონის შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის ყველა პირობას ქმნიან. კოლმეურნეობაში საკმაოზე მეტი მოიმარაგეს ხეანეი, ხილოსი, თივა. ახლა ამზადებენ ჩალას.

სურათზე: კოლმეურნე ა. რაფავა, რომელიც საკვების დამზადების ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).



მათ თავი ისახელეს

მოსკოვი ულოცავს

ვიატურა. (ხაკ. კორ.). შრომითი გმირობისა და ინიციატივის ნაყოფია ბოლო ხუთ წელიწადში ქალაქ ვიატკაში ოთხ ახალ საცხოვრებელ სახლ-ოთახიანი ბინის აშენება. ამ ბინებში ბინადრობენ ქალაქის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ოსტატები, ბრიგადირები, ინჟინერ-ეკონომისტები, ექიმ

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის სხდომა

(დასასრული).

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ მოიპოვა მისი არსებობის წლების მანძილზე. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობა სოციალისტური თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების საგარეო ვაჭრობის განვითარების, მათი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის მძლავრი ფაქტორი გახდა.

საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებაში სსრ კავშირის წარმატებები ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის პროგრესის შედეგია. მათი წარმატებების მკაფიო მაგალითია საქართველოს სს რესპუბლიკა, რომელსაც გარკვეული წვლილი შეაქვს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების, დიდმნიშვნელოვან საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ საგარეო ვაჭრობის გაერთიანებების ხაზით მას მსოფლიოს 70 ქვეყანაში საქმესორტოდ გააქვს 320-მდე დასახელების საქონელი. ეს არის ფოლადის ნაგლინი, ფეროშენადნობი, ლითონდასამუშავებელი ჩახრები, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქცია, ნავთობპროდუქტები, ფაალქვეშაფრთიანი გემები და ბევრი სხვა რამ.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ექსპორტის მთელი მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალისტურ ქვეყნებზე მოდის.

ამის სანაცვლოდ საქართველოს სახალხო მეურნეობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიდან იღებს მანქანათმშენებლობის პროდუქციას და სხვა ნაკეთობებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მთავრობა, თქვა ამხ. კიკნაძემ, დიდ წარმატებებს უსურვებენ სხდომის მონაწილეებს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის მათი პასუხსაგები მისიის შესრულებაში.

სხდომაზე განიხილეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის ღონისძიებები ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 29-ე სხდომისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იმ გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა განხორციელებისათვის, რომლებიც შეეხება საგარეო ვაჭრობის კომისიის საქმიანობას.

კომისიამ განიხილა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის შესაბამისი ღონისძიებების რეალიზაციის ამოცანები მომავალი 2-3 წლისათვის, აგრეთვე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის მუშაობის გეგმის პროექტი 1976 წლისათვის.

ღიის წესრიგის სხვა პუნქტებთან ერთად კომისიამ განიხილა აგრეთვე პრობლემები, თუ რა წესით შეიტანონ სამთავრობათშორისო გრძელვადიან საგაჭრო შეთანხმებებსა და საქონელბრუნვის წლიურ ოქმებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საქონლის ურთიერთმოწოდების ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს ეკონომიკური შეთანხმებებიდან, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ მიღწეული შეთანხმებებიდან და მრავალმხრივ ინტეგრაციულ ღონისძიებათა შეთანხმებული გეგმიდან; აგრეთვე შეთანხმებებიდან, რომლებიც ეხება: სპეციალიზებულ პროდუქციაზე გრძელვადიანი კონტრაქტების დადების პრაქტიკას; ხუთ წელზე მეტი ხნის პერიოდისათვის, კერძოდ, ისეთი მიწოდებისათვის გრძელვადიანი სამთავრობათშორისო სავაჭრო შეთანხმებების დადების არსებული პრაქტიკის რეალიზაციის შესაძლებლობას, რომელიც წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების შედეგია, აგრეთვე სხვა საკითხები.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრი ქვეყნის, აგრეთვე იუგოსლავიის დელეგაციათა მეთაურები.

კომისიის სხდომა განაგრძობს მუშაობას, იგი მეგობრული ურთიერთგაგებისა და ამხანაგური თანამშრომლობის ვითარებაში მიმდინარეობს.

(საინფორმო).

სსრ კავშირსა და უგანდას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დროებითი გაწყვეტის შესახებ

საბჭოთა კავშირისა და პირადად უგანდაში საბჭოთა ელჩის შეურაცხმყოფელი, არამეგობრული მოქმედებისა და იმ პირობების გამო, რომლებიც ხელს უშლის საბჭოთა საელჩოს ნორმალურ მუშაობას, სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დროებით გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა უგანდასთან.

საბჭოთა მხარე გამოთქვამს რწმენას, რომ დადგება დრო, როცა შეიქმნება საჭირო პირობები და აღდგება ნორმალური ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის იმ საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რომელსაც მუდამ ზუსტად იცავდა საბჭოთა მხარე.

(საკდესი).

ანტიმუშუური კანონი

რომი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ისრაელის მთავრობამ ამ დღეებში დაამტკიცა კანონი, რომლის საფუძველზე მეწარმეებს უფლება ეძლევათ დაუკავონ ხელფასის 50 პროცენტი მშრომელებს, რომლებიც ნაწილობრივ გაფიცავენს ან თავიანთი სამართლიანი მოთხოვნებისათვის ბრძოლის სხვა საშუალებებს მიმართავენ. ეს ისრაელის მმართველი წრეების უშუალო პასუხია ისრაელის მშრომელთა მზარდ ბრძოლაზე თავიანთი უფლებებისათვის.

კვიპროსელთა მოთხოვნები

ნიკოზია. (საკდესი). ათიათასობით კვიპროსელმა ბერძენმა მიიღო დღეს მონაწილეობა მასობრივ მიტინგებში, რომლებიც ერთობლივად მოაწყვეს პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე კვიპროსის პრობლემის მოწესრიგების მოთხოვნათა მხარდასაჭერად.

ეს მიტინგები და დემონსტრაციები მიეძღვნა გენერალური ასამბლეის მიერ კვიპროსის საკითხის მომავალ განხილვას.

პარტიებისა და ორგანიზაციების საკოორდინაციო კომიტეტის მოწოდებით დღეს ორი საათით შეწყვეტეს მუშაობა დაწესებულებებმა და საწარმოებმა. კუნძულის ოთხ უდიდეს ქალაქში გაიმართა მიტინგები, რომელთა მონაწილეებმა მიღეს იდენტური რეზოლუციები. ისინი მოითხოვენ კუნძულის ტერიტორიიდან მთელი უცხო ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას, 200 ათასი კვიპროსელი ბერძენის შინ დაბრუნებას, აგრეთვე კვიპროსის პრობლემის გამო მოლაპარაკებების მოწყობას.

გულძვალობის აქტი

ნიუ-იორკი. (საკდესი). როგორც აქ გახდა ცნობილი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა (მესამე კომიტეტი) კომიტეტის თავმჯდომარეს უთხოვია ჩილეს ხუნტისათვის გაეშვა პატიმრობაში მყოფი ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი შვილის დაკრძალვაზე. მაგრამ ხუნტას უარი განუცხადებია ამ თხოვნაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დრაკონული კანონი არ არის ერთადერთი ანტიმუშური აქტი, რომელიც მიზნად ისახავს საგაფიცო მოძრაობის თავისუფლების შეზღუდვას. სახელმწიფოს ჩარევა შრომითს კონფლიქტებში ძლიერდება იმის კვალობაზე, რაც უფრო დაძაბული მოითხოვს მთავრობა მუშებისაგან „მაგრად შემოიჭიმონ ქამარი“, რათა უზრუნველყონ ისრაელის ეგრეთ წოდებული „უშიშროების საჭიროებანი“. ამ ლოზუნგებს სულ უფრო ნაკლები გაგებით ხვდებიან მშრომელი მასები. ამავე დროს, ამ დღეებში გამოცხადებული სახელმწიფო საფინანსო ორგანოების განკარგულება უცხოეთის ვალუტის თავისუფლად გაყიდვისაგან მიღებულ მოგებაზე გადასახადის გადახდევინების შესახებ მეორე დღესვე გაუქმეს „დაინტერესებული პირების“ მოთხოვნით. ეს იმის ახალი თვალსაჩინო გაკვეთილია, თუ როგორ ნაწილდება უზარმაზარი სამხედრო ხარჯების სიმძიმე და როგორ მდიდრდება ისრაელის ბურჟუაზია მთავრობის წრეების უშუალო ხელშეწყობით.

გადაჭრით გმოგენ რასიზმს

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის 30 წლის სამოქმედო პროგრამის განხორციელების საკითხზე.

ასამბლეამ მოუწოდა ქვეყნებს მტკიცედ შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი, რომლებიც კოლონიური ბატონობისაგან ხალხთა განთავისუფლებას შეეხება. დელეგატებმა აგრეთვე დაგმეს პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური თანამშრომლობა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და სამხრეთ აფრიკის რასისტულ რეჟიმებს შორის.

X. ფორდის ინტერვიუ

ვაშინგტონი. (საკდესი), ენბი-ის სატელევიზიო კომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა, როცა უპასუხა კითხვაზე თუ როგორ წარმოუდგენია დაძაბულობის შენელების პროცესი, თქვა: დაძაბულობის შენელება ჩემი წარმოდგენით ის არის, რომ დიდი სამხედრო და ეკონომიური ძალერების მქონე ორი უდიდესი სახელმწიფო, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური თვალსაზრისი და შეხედულებანი აქვთ ქვეყნის მართვა-გამგეობაზე, იმის ნაცვლად, რომ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, შეუძლიათ აწარმოონ კონსულტაციები მრავალ პოტენციურად კონფლიქტურ პრობლემაზე — იქნება ის ვაჭრობა, პოტენციური სამხედრო კონფლიქტი თუ ერთი სხვა პრობლემათაგანი.

დაძაბულობის შენელება, განაგრძო ჯ. ფორდმა, ყოველთვის როდი ნიშნავს იმას, რომ შეეცლებთ გადაგწყვიტოთ ყოველგვარი პრობლემა, რამდენადაც ზოგიერთი მათგანი ძალიან რთული და სადავოა. მაგრამ იგი გვაძლევს დაძაბულობის შენელების მექანიზმს, რაც მეოხებითაც, იმის ნაცვლად, რომ გზა გავუხსნათ პოტენციურ კონფლიქტს, შეიძლება მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, განვიხილოთ უთანხმოებანი იმ იმედით, რომ შეეცადებთ დაძაბულობას და მივაღწევთ პროგრესს სამხედრო კონფლიქტის გარეშე.

შეეხო რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, პრეზიდენტმა განაცხადა: ვფიქრობ, რომ ვაღწევთ თანდათანობით პროგრესს, მაგრამ საქმე ეხება ძალიან რთულ პრობლემებს.

დანაშაულებრივი ექსპერიმენტები

ვაშინგტონი. (საკდესი). მრავალი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ადამიანებზე ატარებდა ცდებს ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების შესწავლის მიზნით. ეს ფაქტები კვლავ ამხილეს სენატის ჯანმრთელობის დაცვის ქვეკომისიაში მიმდინარე მოსმენებზე.

ამ არაადამიანური ცდების მასშტაბს მოწმობს განცხადება, რომელიც გააკეთა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილემ მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში კ. დაკეტმა. მან აღიარა, რომ ამ საქმეში ჩაბმული იყო ამერიკის შეერთებული შტატების 30-ზე მეტი უნივერსიტეტი და ინსტიტუტი. ძლიერმოქმედ ნარკოტიკებს ხშირად სცდიდნენ ხოლმე ადამიანებზე, რომლებმაც ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

მიმდინარე მოსმენები ერთხელ კიდევ აღასტურებენ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, არღვევდა რა ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს, ექსპერიმენტებს ატარებდა ადამიანებზე, რომლებმაც არ იცოდნენ მათი ჭეშმარიტი მიზნები და ხასიათი. როგორც წინათ ვიუწყებოდით, ამ დანაშაულებრივი ცდების რამდენიმე მსხვერპლმა თავი მოიკლა, ბევრს მიიმე ფსიქიკური ტრავმა მოუვიდა.

ჰ. ვილსონის განცხადება

ლონდონი. (საკდესი). ჰელსინკის უმაღლესი დონის შეხვედრამ, რომელიც იყო მსოფლიოს ისტორიაში უარეცდენტო მოვლენა, განამტკიცა ხალხთა გადაწყვეტილება იცხოვრონ მშვიდობიანად და ხელი შეუწყონ დაძაბულობის პროცესის განვითარებას, განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის გადაწყვეტილებანი, აღნიშნა ჰ. ვილსონმა, უნდა განმტკიცდეს კონკრეტული საქმეებით.

მიმდინარე წლის თებერვალში მოსკოვში საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმებანი და ოქმები, რასაც შემდეგ მოჰყვა ჩვენ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის გააქტიურება, აღნიშნა ჰ. ვილსონმა, შესაძლებლობას მაძლევენ განვაცხადო, რომ იდეოლოგიური უთანხმოების მიუხედავად ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ამჟამად უკეთესია.

ოქმი მოიწონეს

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა მოიწონა და დათანხმდა რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების ოქმის რატიფიკაციას.

ოქმი დაიდო 1974 წლის ზაფხულში მოსკოვში, საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ამ შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ წარმატებით ხორციელდება 1972 წლის მაისში დადებული ხელშეკრულება რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ და სასურველად მიიჩნიეს შემოიღონ დამატებითი შეზღუდვები ასეთი სისტემების განლაგებისადმი. ამ მიზნით დაიდო 1972 წლის ხელშეკრულების ოქმი, რომელიც ითვალისწინებს რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგების ერთ რაიონამდე შეზღუდვას რაიონების ნაცვლად, რომლებიც ამ ხელშეკრულებით ნებადართული იყო თვითეული მხარისათვის.

ე. მარშეს გამოსვლა

პარიზი. (საკდესი). ქალაქ ავონდანში გაიმართა საფრანგეთის კომპარტიის მოზელის დეპარტამენტის ფედერაციის შენობის საზეიმო გახსნა, რომელიც აგებულია კომპარტიის აქტივისტების მიერ. იგი სიმბოლურად გამოხატავს საფრანგეთის კომპარტიის ფვალენის ზრდას ლოტარინგიის ფეოდალურგებს, აღმოსავლეთ საფრანგეთის ინდუსტრიული რაიონების მშრომელ მასებს შორის.

გამოვიდა რა გახსნის საზეიმო ცერემონიაზე, საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ აღნიშნა, რომ საფრანგეთის საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ღრმა ცვლილებების განხორციელებისათვის საჭიროა კიდევ უფრო ძლიერი და გავლენიანი კომუნისტური პარტია.

მემარცხენე ძალების ერთობლივი სამთავრობო პროგრამა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭირო და აქტუალურია, განაცხადა ჟ. მარშემ, რამდენადაც სწორედ იგი ქმნის პირობებს სოციალური პროგრესისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარებისათვის ქვეყანაში, ეროვნული დამოუკიდებლობისა და რეფორმების პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლებიც მიმართულია მსხვილი კაპიტალის ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ.

ლიბანი ვითარება უარესობისაკენ

ბეირუთი. (საკდესი). ლიბანში ვითარების გაუმჯობესებას მოჰყვა პოლიტიკური აქტიურობის გაფართოება, რომლის მიზანია ნორმალიზაციის პროცესის განმტკიცება და ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც მომავალში შეუძლებელს გახდიან ახალ შეტაკებებს. როგორც გაზეთები იუწყებიან, პრემიერ-მინისტრი რ. კარამე ამუშავებს ფართო პოლიტიკური რეფორმების გეგმას, რომელსაც იგი ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე წარუდგენს კაბინეტს.

კვირას პრემიერ-მინისტრმა გაიმართა მთელი რიგი კონსულტაციები პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერებთან.

მთლიანად ქვეყანაში გუშინ სიმშვიდე იყო, თუმცა ზოგიერთ რაიონში აღინიშნა კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ მძვინვარე გატაცების შემთხვევები. სულ დღის განმავლობაში გაიტაცეს 13 კაცი. მაგრამ უმაღლესი საკოორდინაციო კომისიის ჩარევის შედეგად ისინი მალე გათავისუფლეს. ბეირუთის ჰიზბიეს რაიონში შეტაკება მოხდა შეიარაღებულ ელემენტებსა და არმიის პატრულებს შორის. შეტაკების შედეგად არიან დაზიანებული და დაჭრილნი.

ქვეყნის დანარჩენ რაიონებში სიმშვიდეა.

მდგომარეობა პორტუგალიაში

ლისაბონი. საკდესის კორესპონდენტი მ. არტიუშენკოვი იუწყება: პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა კონტა გომეშმა წუხელ საგანგებო თათბირი გამართა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებთან, რომელთა წარმომადგენლები შედიან მთავრობაში. თათბირში მონაწილეობდნენ კომუნისტური, სოციალისტური და სახალხო-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელები, აგრეთვე მთავრობის მეელი რიგი წევრები და შეიარაღებული ძალების მოძრაობის წარმომადგენლები.

პრესის ცნობით, თათბირზე განიხილეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც კვლავ გაძნელდა რეაქციისა და კონტრრევოლუციური ელემენტების სხვადასხვა ჯგუფებთან დაკავშირებით. განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ანგოლის დამოუკიდებლობის მომავალ გამოცხადებასთან.

ლისაბონში ახალგაზრდობის მიტინგზე გამოვიდა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ალვარო კუნიალი, რომელმაც მოუწოდა ყველას, ვისაც არ სურს ფაშიზმის დაბრუნება, კომუნისტებთან ერთად ებრძოლონ რეგოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის.

მან აღნიშნა, რომ პორტუგალიაში შეიქმნა რთული პოლიტიკური ვითარება. ფაშისტებმა გააღვიძეს პროვოკაციული საქმიანობა. მათთან ერთად მემარცხენე ძალების წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე სხვა რეაქციული წრეები. საფრთხე მოელის დემოკრატიულ თავისუფლებებს.

პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კრიზისის გადაჭრა პოლიტიკური გზით, შეიარაღებული ძალების მოძრაობის რეორგანიზაციის გზით, მასში პროგრესული წრეების წარმომადგენლების შეყვანით და მთავრობიდან რეაქციონერების, უწინარეს ყოვლისა სახალხო-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების გაძევებით.

ამავე დროს პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა კომისიამ გაავრცელა მმართველ, რომელშიც კვლავ მოუწოდებს მუშათა კლასს, ხალხის მასებს, პროგრესულ სამხედროებს მზად იყვნენ რევოლუციის დასაცავად. პოლიტკომისია აფრთხილებს, რომ 11 ნოემბერს ანგოლის დამოუკიდებლობის მომავალ გამოცხადებასთან დაკავშირებით არის კონტრრევოლუციის გამოსვლების საფრთხე.

ფოტოინფორმაცია

ამბავს წინათ იაპონიამ აღნიშნა მოხუცების პატივისცემის დღე. გაიმართა საზეიმო ღონისძიებები, წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები... მაგრამ ამით დასნეულებულთა და მოხუცთა მდგომარეობა არ უმჯობესდება. ეს საკითხი კვლავ რთულ სოციალურ პრობლემად რჩება. იმ დახმარებითა და პენსიებით, რომლებსაც იაპონიის კომპანიების პენსიაზე გასული მუშაკები იღებენ, ფაქტიურად არსებობა შეუძლებელია, ხოლო მზარდი ინფლაცია და სიძვირე აიძულებთ მათ ნახევრადმშიერნი იყვნენ.

სურათზე: მოხუცთა საზოგადოების წევრები მიდიან მიტინგზე, რომლის მონაწილეებმა თავრობისაგან მოითხოვეს თავიანთი უშფოთველი სიბერის უზრუნველყოფა, ავადმყოფთა ხვედრის შემსუბუქება.

იაპს-ახალი ამბების საააგენტოს ფოტო.

ოქტომბრელთა ოთხშაბათი

11 ნოემბერი

ამბები • ფაქტები

საკვლევი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

პორტუგალიაში კვლავ რთული პოლიტიკური ვითარებაა

მოითხოვენ კვიპროსის საკითხის სამართლიან მოწესრიგებას

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● **სოფია.** აქ გაიხსნა გამოფენა „დიდი ოქტომბერი ბულგარელ მხატვართა შემოქმედებაში“, გამოფენა ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავს.

ტილოებზე ასახულია რუსეთში 1917 წლის ნოემბერში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიული მომენტები, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ, სოციალიზმის შენებლობა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. აქ გამოფენილია ვ. ი. ლენინის, პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელების პორტრეტები.

● **ბონი.** გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ მონაცემებით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ძვირდება სურსათი. მიმდინარე წლის ოქტომბერში ხორცის პროდუქტები გასული წლის ოქტომბერთან შედარებით გაძვირდა 9-10 პროცენტით, კვერცხი — 8,8 პროცენტით, კარაქი — 10,7 პროცენტით, პური — 6,7 პროცენტით. თითქმის 60 პროცენტით გაძვირდა კარტოფილი.

● **კონაკრი.** აქ დამთავრდა პარტიულ ერილობებს შორის გვინეის დემოკრატიული პარტიის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — რევოლუციის ეროვნული საბჭოს III-ე სესია, რომელიც გვინეელი ხალხის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გახდა. სესიის მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს გვინეის რესპუბლიკის ანგიმპერიალისტური და ანტიკოლონიური მიმართულება, მისი მტკიცე გადაწყვეტილება იაროს არაკაპიტალისტური განვითარების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოების შექმნის გზით.

● **მეხიკო.** მექსიკის პარლამენტარები მოითხოვენ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის მმართველობა ნათქვამია, რომ ჩილეში გრძელდება ადამიანის უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევა, ათასობით პატრიოტს, რომელიც საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ჰყავთ გამომწყვდეული, აწამებენ და აბუჩად იგდებენ.

მექსიკის დეპუტატები მსოფლიოს ყველა პარლამენტარს მოუწოდებენ, მოსთხოვონ სამხედრო ხუნტას, რომ შეწყვიტონ ტერორი და წამება, გაანთავისუფლონ ლ. კორვალანი და ყველა ჩილელი დემოკრატი.

ესეც ფენი „თავისუფალი სამყაროს“

დანაშაულებაც ბიზნესია

ამ სურათებზე აღბეჭდილია ნიუიორკისათვის ჩვეული ყოველდღიური სცენა, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ ჰქონდა ადგილი. პოლიციელი უტევს განგსტერს, რომელიც გამაგრებულია მანჰეტენის ბანკში შეაყორბილ 12 მძევალთან ერთად და „ბამოსასყიდად“ 3 ტონა ოქროს, ავტომანქანას და თვითმფრინავს მოითხოვს. ამჯერად პოლიციელები გამარჯვებულნი აღმოჩნდნენ — 8-საათიანი მოლაპარაკებისა და სროლის შემდეგ 23 წლის განგსტერი რუსტ ოლსენი შეიპყრეს.

...როცა 1952 წელს ამერიკის აწ განსვენებული სენატორი კეფაუვერი თავის გახმაურებულ მოსსენებაში წერდა, რომ მაფია ნამდვილად იატაკქვეშა მთავრობაა, რომელსაც კანონიერი ხელისუფლების დამოსა შეუძლიაო, მისმა სიტყვებმა მხოლოდ ირონიული ღიმილი გამოიწვია. დღეს კი...

ბოროტმოქმედთა იატაკქვეშა ორგანიზაციის მასშტაბების შესახებ ამერიკელებს წარმოდგენა პირველად 1957 წელს შეექმნათ, როცა მათ მოახერხეს დაეპატიმრებინათ აპალაჩების გამართული მაფიის ყრილობის მონაწილე განგსტერების ერთი ნაწილი. მას შემდეგ ამ დანაშაულებრივი სინდიკატის (რომელსაც ჯერ კიდევ მაშინ „კოზა ნოსტრა“ ერქვა) შესახებ უამრავი რამ დაიწერა, მრავალი სიტყვა წარმოითქვა სენაკში, მაგრამ მდგომარეობა დღითიდღე საგანგაშო ხდება.

მოვიყვანთ ფრანგუელ ჟურნალ „სპექტაკლ დიუ მონდში“ გამოქვეყნებულ რამდენიმე მონაცემს, რომელიც დამნაშავეთა სინდიკატის ძლიერებას ახასიათებს: ამერიკელ ხელისუფალთა გამოანგარიშებით მაფიის წლიური შემოსავალი 40 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც საფრანგეთის წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტზე მეტია. განგსტერთა ეს ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების „ყველაზე დიდ „დაწესებულებას“ წარმოადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით მაფია თავის რიგებში ორასი ათას განგსტერს აერთიანებს. ნახევრადსამხედრო ყაზარმზე ორგანიზებული „კოზა ნოსტრა“ 24 ჯგუფისაგან ანუ „ოჯახისაგან“ შედგება. მათ ხელმძღვანელობს 9-12 კაცისაგან შემდგარი „მთავრობა“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მთელ ტერიტორიაზე მმართველობს. თვითეული „ოჯახის“ სათავეში დგას „პატრონი“ („კაპო“). მას უმორჩილებიან „ლეიტენანტები“ („კაპორეჯიმე“), ხოლო მათ — რიგითი „ჯარისკაცები“ („ჯეჯიმე“). „ჯარისკაცები“ ხშირად მილიონერები არიან და თავის განკარგულებაში ჰყავთ განგსტერთა, დაქირავებულ მკვლელთა, ნაქურდლის შემსყიდველთა ბანდები. თვითეულ „ოჯახს“ ჰყავს თავისი იურისტი და ხაზინადარი, რომელსაც სინდიკატის წევრთა კაპიტალის რაც შეიძლება სარფიანად დაბანდება ევალებათ. „ოჯახში“ არის აგრეთვე ერთი ან რამდენიმე იურისტი, რომლებიც მოწმეთა დაშინებას და პოლიციასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ, „ოჯახის“ წევრებს დაპატიმრებისაგან იცავენ. მაფია უხვად იხდის გასამრჯელოს: იურისტები აქ 4-6-ჯერ მეტ ხელფასს იღებენ, ვიდრე მათი კოლეგები სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებში. საქმეში ჩაუნდავთ სინდიკატის ძლიერება შესაძლოა დაუჯერებლად ეჩვენოთ. მაგრამ ცნობილი კრიმინალისტი დონალდ კრესე თავის წიგნში „მოტაცებული ერი“ იმ დასკვნამდე მიდის, რომ „კოზა ნოსტრას“, რომელსაც თავისი შერიფები, პოლიციელები, მერები და მოსამართლეები ჰყავს, თავისუფლად შეუძლია ოდესმე თეთრ სასლში თავისი კაცი დასვას.

განგსტერები კოლოსალურ შემოსავალს პირველ რიგში ნარკოტიკების გაყიდვით, პროსტიტუციითა და აზარტული თამაშებით იღებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში იარაღის თავისუფალი გაყიდვა, რომელსაც უკვე ამდენი მსხვერპლი მოჰყვა, დღემდე სწორედ მაფიის ძლიერების მეშვეობით არსებობს. მაფია თავის კაპიტალს სიამოვნებით აბანდებს ჩვეულებრივ დაწესებულებებშიც, რასაც მისთვის მარტო მოგება კი არ მოაქვს, არამედ მისი დანაშაულებრივი მოქმედების რესპექტაბელური ნიღაბიც არის.

„კოზა ნოსტრა“ სერიოზულ პოლიტიკურ თამაშს ეწევა. თავის დროზე სენატის კომისიამ ამსილა ნიუიორკის ყოფილი მერი ო“დვაიერი, რომელიც მაშინ არგენტინაში ელჩად იყო, და მასთან ერთად ორი გუბერნატორი იმაში, რომ მათ თავიანთი კარიერის შექმნაში მაფიის სამსახური გამოიყენეს. ამერიკის პოლიტიკური ისტორია აჭრელებულია იმ მოღვაწეთა სახელებით, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული იყო ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან. განგსტერებმა შეძლეს შეეღწიათ ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს პროფკავშირებში. გამომიგების ფედერალურმა ბიურომ გამოაქვეყნა მოხსენება „მეფურადბუნელი“ სატელეფონო საუბრების შესახებ, რომელიც ფარდას ხდის დამნაშავეთა მჭიდრო კავშირს ზოგიერთ პროფკავშირულ ბოსთან.

ამჟამად მაფია აშშ-ისა და კანადის ტერიტორიითაც აღარ კმაყოფილდება. მისი „ჯარისკაცები“ მოქმედებენ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის რაიონში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. „ბებერი კეთილი ინგლისი“ ოდესღაც ძველი სამყაროს შედარებით წყნარ კუთხეს წარმოადგენდა. ახლა კი ინგლისის პოლიციის ხელისუფალთა ოფიციალური განცხადებებით „ორგანიზებულ დანაშაულობათა ცენტრმა“ ნიუ-იორკიდან და ჩიკაგოდან თანდათანობით ლონდონისაკენ გადაინაცვლა. ბრიტანეთის კუნძულებზე თითქმის ყოველდღე ხდება საიუველირო მაღაზიების, ბანკების, საფოსტო მატარებლების გაძარცვა. 1968 წელს ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ზომები აზარტულ თამაშობათა დაწესებულებების მოქმედების შესაზღუდავად, მას შემდეგ, რაც აშკილა ამ დაწესებულებათა უდავო კავშირი ორგანიზებულ დანაშაულობათა სამყაროსთან. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყებოდა ფლორიდაში გამართული „ოჯა ნოსტრას“ წევრთა ყრილობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა ინგლისის აზარტული თამაშობების დაწესებულებათა მრავალი მფლობელი. დღის წესრიგში იდგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აევლოთ გვერდი ახალი ინგლისური კანონმდებლობისათვის.

რატომ რჩება დაუსჯელი მაფიის დანაშაულებრივი მოქმედება? აი როგორ სსნის ამას „სპექტაკლ დიუ მონდი“: „ამერიკის ხელისუფალნი ებრძვიან განგსტერებს, მაგრამ ისინი ხელფეხშეკრული არიან დემოკრატიული კანონებით, რომელთა მიზანია პიროვნების მაქსიმალურ თავისუფლებათა დაცვა და რასაც ბოროტად იყენებენ დანაშაულებრივი სამყაროს იურისტები“. ბურჟუაზიულ ჟურნალს სრულიად ავიწყდება ის, თუ რაოდენ მკაცრია ი

მეცნიერი, მოღვაწე

ა. ასათიანის დაბადების 80 წლისთავის გამო

ჩვენ წინ დევს 1911 წელს ლამაზად გამოცემული მოთხრობა „ექვთიმე ბედკრულიძე". ეცნობი მის შინაარსს და გიკვირს — გიმნაზიის დაბალი კლასის მოწაფის ამ ნაწარმოებში რაოდენ შეგნებული პროტესტია გამოთქმული მაშინდელი წესწყობილების წინააღმდეგ.

ეს მოთხრობა ეკუთვნის ამჟამად ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს ანთიოს ერასტის-ძე ასათიანს, რომლის დაბადების 80 წლისთავს აღნიშნავს ჩვენი სამედიცინო საზოგადოებრობა. მხცოვანი მეცნიერის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხის კეთილდღეობას და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება.

საინტერესოა მისი ცხოვრების გზა. ა. ასათიანი დაიბადა ქ. ქუთაისში. იქვე დაამთავრა ქართული გიმნაზია; 1915 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად შედის პეტროგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. ეპოქის პროგრესულმა იდეებმა, სტუდენტა ახალგაზრდობის რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი როლი შეასრულა მომავალი მეცნიერის სულისკვეთების ჩამოყალიბებაში.

რევოლუციის აქტიური მონაწილე ა. ასათიანი 1919 წელს რუსეთიდან სამშობლოსაკენ გამოეშურა და პარტიის დავალებით თან წამოიღო ბოლშევიკური ლიტერატურა. უკრანის ტერიტორიაზე გავლისას, სადაც მაშინ გეტმანი სკოროპადსკი მბრძანებლობდა, მას აპატიმრებენ, მაგრამ დიდი წვალების შემდეგ თავს აღწევს სატუსაღოს და სამშობლოში ბრუნდება, სწავლას აგრძელებს ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე.

რევოლუციურ იდეებს ნაზიარები ახალგაზრდა საქართველოშიც მთელი გატაცებით განაგრძობს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მუშაობას. მას ირჩევენ ახლადგახსნილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს თავჯდომარედ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921–1922 წლებში ა. ასათიანი, მუშაობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელ მდივნად (გაზეთის **რედაქტორობდა** მამია ორახელაშვილი).

1922 წელს **ა. ასათიანი ამთავრებს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს. ამის შემდეგ მას ეხედავთ პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე პარტიის აკ. სამხარეო კომიტეტში, ახალციხის სამაზრო კომიტეტის პირველ მდივნად, ამიერკავკასიის მომარაგების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად, ამიერკავკასიის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ და სხვ. ამავე პერიოდში იგი საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრია. ახალციხის **მაზრაში** პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობასთან ერთად იგი ახორციელებს მნიშვნელოვან სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

ჯერ კიდევ პეტროგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლის პერიოდში, სადაც ა. ასათიანი ისმენდა დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის ლექციებს, ნიჭიერმა ახალგაზრდამ მტკიცედ გადაწყვიტა თავის მომავალ სპეციალობად აერჩია პროფილაქტიკური მედიცინა. 1938 წელს იგი უბრუნდება მედიცინას და მთელი ენერგიითა და გატაცებით ებმება პროფილაქტიკური მედიცინის რთული თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში. ამავე დროს იწყებს ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

1942 წელს ა. ასათიანს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 1948 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ა. ასათიანის პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან. იგი მუშაობდა ამ ინსტიტუტის ზოგადი პიგიენის კათედრის ხელმძღვანელად. 25 წელიწადს განაგებდა სოციალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის კათედრას.

მრავალმხრივი და ნაყოფიერია ასათიანის სამეცნიერო მუშაობა, მის გამოკვლევებში გაშუქებულია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, სამრეწველო პათოლოგიის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების და სხვა საკითხები.

ა. ასათიანს ეკუთვნის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის თეორიისა და ორგანიზაციაში. ამ სახელმძღვანელოზე ქართველ ექიმთა რამდენიმე თაობა აღიზარდა. იგი მუდამ დიდი ყურადღებით ეკიდება ახალგაზრდა სპეციალისტებს. თავის საქმიანობაში შესანიშნავად **ათავსებს** მომთხოვნი მასწავლებლისა **და** მზრუნველი აღმზრდელის თვისებებს.

1942–1947 წლების მანძილზე იგი წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობას. 1947–1952 წლებში იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი. პროფესორ **გ.** ნათაძესთან ერთად იგი არის საქართველოს ჰიგიენისტთა **სამეცნიერო** საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. ამჟამად კი სათავეში უდგას საქართველოს მედიკოს-ისტორიკოსთა **სამეცნიერო** საზოგადოებას, **რომელიც** ინტენსიურ მუშაობას ეწევა ქართული მედიცინის წარსულის შესასწავლად.

პროფესორი ა. ასათიანის მეცნიერულმა შრომებმა და წერილებმა, მთელმა მისმა საქმიანობამ, როგორც ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორისა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენში მეცნიერულ-ჰიგიენური აზროვნების განვითარებას და პოპულარიზაციას.

ვუსურვოთ **ოუბილარს** ჯანმრთელობა და **ახალი** წარმატებები მშრომელი **ხალხის** საკეთილდღეოდ.

ნინო ჯავახიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

„ტკბილი" პროდუქციის ოსტატები





თბილისის კ. უშინსკის სახელობის № 75 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში 770 მოსწავლეა. სკოლა მდებარეობს გლდანის საცხოვრებელ მასივში. სასწავლებლის კომპლექსი შეიცავს სასწავლო და სამეურნეო კორპუსებს, 300-ადგილიან კლუბს, რომელსაც სტაციონარული კინოდანადგარები აქვს, სასადილოს, სპორტულ დარბაზს, ორ საერთო საცხოვრებელს.

აქ ამზადებენ „ტკბილი" პროდუქციის ოსტატებს: კონდიტრებს, შოკოლადისა და მარმელადის, კამფეტების დამამზადებლებს, პურ-ფუნთუშეულის ხაბაზებს, ერთწლიანი კურსი კი უშვებს სამაცივრო დანადგარების მემანქანეებს და ჩაის საწონი ავტომატების მარეგულირებლებს.

საწარმოო სწავლების კვალიფიციური ოსტატები ნაზი მესხი, ეანა ვართანოვა, თამარ ზენაიშვილი და სხვები მოსწავლეებს უზიარებენ გამოცდილებას, ცოდნასა და ოსტატობას.

გაისად მოხდება სამწლიანი სწავლების მოსწავლეთა პირველი გამოშვება. რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოები მიიღებენ კარგ შეგებას — 210 ახალგაზრდა სპეციალისტს.

სურათებზე: ხაკონდიტრო განყოფილების მეორე კურსის მოსწავლე ნინო რამიშვილი სპეციტექნოლოგიის კაბინეტში; მომდინარეობს მომავალ კონდიტერთა მეცადინეობა; ახალი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სპორტულ დარბაზში.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მადნეული და მადნეულელები

შარშან გაიმართა რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების პარტიული ორგანიზაციების ბიუროების გაერთიანებული სხდომა, სადაც განხილულ შემოქმედებითი კავშირების პარტიული ორგანიზაციების ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა, რომელთა მიზანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება. ამ სხდომის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს შემოქმედებითი კავშირების მჭიდრო კონტაქტი და თანამგზავრობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანაა ცხოვრობდნენ პარტიისა და ხალხის ინტერესებით, იყვნენ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის აქტიური მონაწილენი, ჩვენი დღეების მემატიანენი.

ამ სხდომაზე აღინიშნა, რომ „შახტმშენის" ტრესტმა და პარტიის კალინინის რაიკომმა გამოაცხადეს კონკურსი მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის, რომელიც ასახავს მადნეულის მშენებლების სამოთ გამამდიდრებელი კომბინატის მოწინავეების ცხოვრებასა და შრომას.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ კონკურსის ჟიურიმ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ნ. დუმბაძის თავჯდომარეობით შეაჯამა კონკურსის შედეგები.

პირველი პრემია მიეკუთვნათ საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატს პოეტ მ. ფოცხიშვილს და კომპოზიტორ გ. სიხარულიძეს ვოკალური ციკლის შექმნისათვის „მადნეული — ოცნება ჩემი".

მეორე პრემია დაიმსახურა პოეტმა ო. შალამბერიძემ ლექსების ციკლისათვის „მადნეულის ცის ქვეშ". (**საქინფორმი**).

მხატვართა თანამეგობრობა

ვარშავაში ნუშაობა დაამთავრა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მხატვართა კავშირების გაერთიანებულმა სამდივნომ, რომელიც მიეძღვნა სოციალისტური ქვეყნების სახვითი ხელოვნების მზარდ როლს.

საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟურნალ „ოსკუსტვოს" მთავარი რედაქტორი ვ. ზომენკო. დელეგაციის შემადგენლობაში იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი, პროფესორი გ. თოთიბაძე.

— სსრ კავშირისა და პოლონეთის მხატვართა კავშირების გაერთიანებულ სამდივნოს, — უთხრა მან საქინფორმის კორესპონდენტს, — დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა სოციალისტური ქვეყნის სახვითი ხელოვნების მოღვაწისათვის.

საბჭოთა და პოლონელ მხატვართა შეხვედრის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო მთელი რიგი შემოქმედებითი პრობლემები: პარტიულობის, ხელოვნების ხალხურობის პრობლემა, მეთოდის, სტილის, ინდივიდუალური ხელწერის პრობლემა.

პოლონეთში ყოფნისას ჩვენ ვეწვიეთ ვარშავისა და კრაკოვის სამხატვრო აკადემიებს და მჭიდრო კონტაქტები დავამყარეთ მათთან. ორივე აკადემიის ხელმძღვანელებთან მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ მომავალში ჩვენ რეგულარულად გავუცვლით ერთმანეთს ჩვენი სტუდენტებისა და პედაგოგების ნამუშევართა სლაიდებს, გავუწიარეთ მომავალი მხატვრების, მოქანდაკეების, არქიტექტორების სწავლისა და აღზრდის გაუმჯობესების გამოცდილებას. გათვალისწინებულია სტუდენტების, პროფესორებისა და მასწავლებლების გაცვლა. (საქინფორმი).

მთვარის სრული დაბნელება

მიმდინარე წლის 18 ნოემბერს ნაშუადამევს მოხდება მთვარის სრული დაბნელება. ბადრი მთვარე დაიწყებს დედამიწის ჩრდილში შესვლას მარცხენა მხრიდან 19 ნოემბრის 0 საათსა და 39 წუთზე თბილისის დროით. 2 საათსა და 03 წუთზე მთვარე მთლიანად დაბნელდება, მაგრამ იგი კვლავ განგრძობს დედამიწის ჩრდილში ორმად შესვლას. 2 საათსა და 24 წუთზე მთვარე მაქსიმალურად იქნება დაბნელებული. ამის შემდეგ იგი დაიწყებს დედამიწის ჩრდილიდან გამოსვლას. 2 საათსა და 45 წუთზე გამოჩნდება მთვარის მარცხენა განაპირა კიდე, რომელიც თანდათან გაიზრდება და 4 საათსა და 09 წუთზე მთვარის დაბნელება დამთავრდება.

მოწმენდილი ამინდის შემთხვევაში მთვარის დაბნელება კარგად გამოჩნდება ჩვენი რესპუბლიკის მთელი ტერიტორიიდან.

დოც 3. ჯაფიაშვილი,

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობაში (საქინფორმი).



პრემიერა ბიჭვინთის ტაძარში

ბიჭვინთა. ბიჭვინთის ცნობილ ტაძარში მისი ცხრა საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად აკურთხა საორგანო მუსიკა. დიდი სიხარული მოუტანა კურორტის დამსვენებლებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო საწარმო „ალექსანდრე შუკემ", რომელმაც შექმნა ეს მშვენიერი მრავალხმიანი ინსტრუმენტი.

პირველ კონცერტზე გამოვიდა ლაიფციგელი პროფესორი ჰ. კესტნერი, რომელმაც ვირტუოზულად შეასრულა თავისი დიდი თანამემამულის იოჰან სებასტიან ბახის ნაწარმოებები.

სახელმწიფო კომისიამ ინსტრუმენტი „ფრიადი" შეფასებით მიიღო. კომისიის თავმჯდომარემ ვ. ლორთქიფანიძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა, ინსტრუმენტს კომისიის წევრებმა ერთსულოვანი შეფასება მისცეს. საწარმოო „ალექსანდრე შუკემ" კვლავ დაადასტურა თავისი მაღალი რეპუტაცია.

აი მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის ორგანის ოსტატის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლის ნ. მალინის აზრი: „მსოფლიოში არ არსებობს ორი ერთნაირი ორგანი. ყოველი მათგანი თავისებურია. ბიჭვინთის ორგანის ღირსება ის არის, რომ მასზე შეიძლება საოცრად ფართო დიაპაზონის ნაწარმოებთა შესრულება — დაწყებული ძველიდან თანამედროვე ავტორებამდე. ბიჭვინთამდე ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა ორგანები დადგეს მოსკოვში, გორკში, ტალინში, ალმა-ათაში, თბილისში, ვილნიუსში..."

ბიჭვინთის **ორგანი** მესამეა რესპუბლიკაში და მეთერთმეტე — სსრ კავშირში.

გასულ კვირას ბიჭვინთის ტაძარში სოლო კონცერტი გამართა ორგანისტმა ეთერ მგალობლიშვილმა.

მსოფლიოს კირველობა ჭადრაკში

პრეტენდენტის უპირატესობით

მერვე პარტიაში თეთრებით ალექსანდრიამ თამაში [illegible] ფის წინა პაიკით დაიწყო. [illegible] რესია, რომ ამ მატჩში ორივე მეტოქე მხოლოდ ასეთნაირად იწყებს პარტიას. ნ. გაფრინდაშვილმა კვლავ სკანდინავიურ დაცვას მიმართა. გათამაშდა ვარიანტი, რომელსაც ვერც ერთ სადებიუტო სახელმძღვანელოში ვერ შეხვდებით, მაგრამ, როგორც ჩანს, საგანგებოდ აქვთ შესწავლილი ჩემპიონსაც და პრეტენდენტსაც.

მერვე სვლამდე მეტოქეებმა გაიმეორეს მეექვსე პარტიაში შექმნილი პოზიცია. მაგრამ მერვე სვლითა ნ. ალექსანდრიამ საგრძნობლად გაამლიერა ვარიანტი. თეთრებმა სწრაფად დამთავრეს ფიგურების განვითარება და მოემზადნენ საიერიშოდ. შავები დიდ ნიძნელეებს განიცდიდნენ. მე-19 სვლისათვის ალექსანდრიას ორი შესაძლებელი გაგრძელება ჰქონდა. მას შეეძლო ხაზის გახსნა და კომბინაციური იერიშის გაგრძელება, ხოლო მეორე გზა ზედმეტ პაიკს და შედარებით წყნარ თამაშს. სასაუბროდ [illegible] ალექსანდრიამ კიდევ ორი პაიკი მოიგო და ამასთან ლაზიერებიც გაიცვალა. მართალია, პარტიის გადადების წინ თეთრებმა ერთ მომენტში ზუსტად ვერ ითამაშეს, მაგრამ შეინარჩუნეს დიდი მატერიალური უპირატესობა.

ახლა ოთხი ეტლის ენდშპილში პრეტენდენტს სამი ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ გაფრინდაშვილმა გააქტიურა თავისი ძალები და თეთრებს მოელით ტექნიკური სიძნელეების დაძლევა.

ალექსანდრია-გაფრინდაშვილი

სპანდინავური პარტია

1. e4 d5 2. ed ∂f6 3. ¿b5+ ¿d7 4. ¿c4 ¿g4 5. f3 ¿f5 6. g4 ¿c8 7. ∂c3 a6 8. g5 b5 9. ¿b3 ∂fd7 10. d4 ∂b6 11. ∂ge2 b4 12. ∂a4 ∂:d5 13. ld3 e6 14. ¿d2 ¿e7 15. h4 ∂bd7 16. 0-0-0 ¿b7 17. ∂dg1 0-0 18. h5 f5 19. ∂f4 ∂:f4 20. ¿:f4 ¿d5 21. ¿:d5 ed 22. ∂e2 ¿d6 23. ∂e6+ ∂:h8 24. ¿:d6 cd 25. ∂:d6 ∂c8 26. h6 ∂g8 27. ∂:d5 ∂c7 28. hg+ ∂:g7 29. ∂:f5 ∂f8 30. ∂e4 ∂f4+ 31. ∂:f4 ∂:f4 32. ∂c5 ∂:c5 33. dc ∂f5 34. g6 h5 35. ∂h4 ∂:c5 36. ∂:b4 ∂gc7 37. c3 ∂∂g7 38. ∂b6 a5 39. f4 h4 40. ∂e6 ∂f5 თეთრებმა ჩაწყვიტეს 41-ე სვლა.

ღღეს გაიმართება ამ პარტიის დამთავრება.

გ. გამრეკელი,

„კომუნისტის" სპეც. კორ.

საზონთაშორისო ტურნირი

უკანასკნელ დროამდე ქალთა შორის ერთი საზონთაშორისო ტურნირი ტარდებოდა, მაგრამ ფიდე-ს უკანასკნელმა კონგრესმა შეცვალა ეს გადაწყვეტილება. ამის მიზეზი გახლავთ ქალთა ჭადრაკის დიდი აღმავლობა. ამიერიდან გადაწყდა ორი საზონთაშორისო ტურნირის ჩატარება. თვითეული ტურნირიდან სამ-სამი გამარჯვებულ პრეტენდენტთა მატჩებში თამაშის უფლების მიიღებს.

ამასწინათ ფიდე-მ მიიღო გადაწყვეტილება **ერთი** ასეთი საზონთაშორისო ტურნირი 1976 წლის აგვისტოს მიწურულში თბილისში **ჩატარდეს.**

თბილისის საერთაშორისო

3 დეკემბერს თბილისში იწყება ქალთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ოლიმპიური ნაკრებების მონაწილეობენ.

ამ ტურნირის სამი საგზურისათვის ებრძვიან დიდოსტატები ვიტალი ცეშკოვსკი (ომსკი), ვლადიმერ სავინი (ხარკოვი), ეფიმ ბალაშოვი და საერთაშორისო **ოსტატი** ბორის გულკო (ორიოლი — მოსკოვი).

ჰავანა. მოსკოვში გაიმართა **სსრ** კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეორე ნაკრებთა მატჩი. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს **საბჭოთა** ჰოკეისტებმა. ვოსკრესენსკი კი ერთმანეთს შეხვდნენ ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4:4.

ფეხბურთი. დასასრულს უახლოვდება საქართველოს პირველობა პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. ჩემპიონობისათვის „ლოვინდებურად იბრძვიან ქიმიურის „მაღაროელი" და სოხუმის „დინამო". ქიმიურელებს 39 თამაშიდან 64 ქულა აქვთ, სოხუმელებს — 38-დან 61 ქულა. მესამე ადგილზეა გეგეჭკორის „სალხინო". ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი გაისად გამოვა საკავშირო პირველობის მეორე ლიგაში მაბარაძის „მერცხალის" ნაცვლად.

უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები რესპუბლიკის პირველობის მეორე ჯგუფის პირველ და მეორე ზონებში. ესენი არიან ბოლნისის „მადნეული" და წყალტუბოს „კოლმეურნე". ორივე კოლექტივი გაისად გათამაშების პირველ ჯგუფში ითამაშებს.

ჰიდაობა. გუშინ მცხეთაში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „განთადის" პირად-გუნდური **პირველობა** კლასიკური ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ბაათუმი და ქუთაისის გუნდები. საუკეთესო განთადელი ფალავნები მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პროფკავშირთა სპარტაკიადაში.

ნოკაუტები და... დიდოსტატები

ლენინგრადში მიმდინარეობს პიონერთა სასახლეების საკავშირო ტურნირი ჭადრაკში. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე.

შეჯიბრებას ლიდერობს ნორჩ ჩელიაბინსკელთა კაპიტანი, მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, რომელმაც 28 პარტიაში 27,5 ქულა მოაგროვა, 1,5 ქულით ნაკლები აქვს კუიბიშეველთა კაპიტანს, დიდოსტატ ლევ პოლუგაევსკის, ლენინგრადელ ვიქტორ კორჩნოის კი — 25,5 ქულა.

ხუთი ტურის შემდეგ ნორჩ მოჭადრაკეთა შორის წინ არიან მოსკოველები, რომლებმაც 34,5 ქულა მოაგროვეს (სამი პარტია გადადებული აქვთ). მომდევნო ადგილებზე იმყოფებიან ლენინგრადელები (33,5 ქულა) და ჩელიაბინსკელები (32 ქულა).

მეჯლედ

კალიფორნია. სსრ კავშირის ფერადთა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს ატარებს აშშ-ში, პროვიდენსში (როდაილენდის შტატი) ამხანაგური მატჩი გამართა ადგილობრივ სტუდენტთა ნაკრებთან. ორი ქულის სხვაობით — 76:74 (34:41) გაიმარჯვეს ამერიკელმა კალათბურთელებმა. **საბჭოთა** გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ჟარმუკამედოვი (25 ქულა), ა. ბელოვი (18) და სალნიკოვი (12), ამერიკელთა შორის — **ხასეტი** (21 ქულა), რომელსაც ჩვენი კალათბურთელები იცნობდნენ საკონტინენტალურ-შორისო თასის მატჩებიდან.

ჰავანა. სოჭში სტარტს იღებს ოთხი საბჭოთა მოჭადრაკის მატჩ-ტურნირი მსოფლიოს პირველობის საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებისათვის. ამ ტურნირის სამი საგზურისათვის იბრძვიან დიდოსტატები ვიტალი ცეშკოვსკი (ომსკი), ვლადიმერ სავინი (ხარკოვი), ეფიმ ბალაშოვი და საერთაშორისო **ოსტატი** ბორის გულკო (ორიოლი — მოსკოვი).

ჰოკეი. მოსკოვში გაიმართა **სსრ** კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეორე ნაკრებთა მატჩი. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს **საბჭოთა** ჰოკეისტებმა. ვოსკრესენსკი და ერთმანეთს შეხვდნენ ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4:4.

ფეხბურთი. დასასრულს უახლოვდება საქართველოს პირველობა პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. ჩემპიონობისათვის „ლოვინდებურად იბრძვიან ქიმიურის „მაღაროელი" და სოხუმის „დინამო". ქიმიურელებს 39 თამაშიდან 64 ქულა აქვთ, სოხუმელებს — 38-დან 61 ქულა. მესამე ადგილზეა გეგეჭკორის „სალხინო". ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი გაისად გამოვა საკავშირო პირველობის მეორე ლიგაში **მაბარაძის** „მერცხალის" ნაცვლად.

ჰიდაობა. გუშინ მცხეთაში **დამთავრდა** სპორტსაზოგადოება „**განთადის**" პირად-გუნდური **პირველობა** კლასიკური ჭიდაობაში. **გუნდურ ჩათვლაში** გაიმარჯვეს **თბილისელებმა.** მომდევნო ადგილებზე არიან ბაათუმი და ქუთაისის გუნდები. **საუკეთესო** განთადელი ფალავნები მონაწილეობას მიიღებენ **რესპუბლიკის** პროფკავშირთა სპარტაკიადაში.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

1975 წლის 13 ნოემბერს თბილისში მოწვეულია საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის მორიგი VII პლენუმი

დღის წესრიგი:

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე.

პლენუმი გაიხსნება 1975 წლის 13 ნოემბერს ხუთშაბათს, დღის 12 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში (თბილისი. ლენინის, 36).

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ხაშურის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლაში

მიღების პირობები 1975-76 სასწავლო წლისათვის

სკოლა ამზადებს: მეფუტკრეს და მეცხოველეს ტექნიკოსებს. სკოლაში მიიღებიან: კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმის გამგეები, ბრიგადირები, მეფუტკრეობის დარგის მუშაკები და სხვა, რომელთაც სპეციალური განათლება არა აქვთ და აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკები სრული და არასრული საშუალო განათლებით, რომელთაც აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის გამოცდილება.

სკოლაში მიღება ხდება უგამოცდოდ.

სკოლაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: 1. განცხადება 2. ავტობიოგრაფია, 3. განათლების მოწმობა (დედანი), 4. დაბადების მოწმობა, 5. კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის შუამდგომლობა, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 7. სამი ფოტოსურათი (პასპორტი იქონიონ ხელზე).

სკოლაში ჩარიცხულთ დაენიშნებათ სტიპენდია თვეში 14 მანეთი და უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით და კომუნალური მომსახურებით. ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად სკოლაში მიღებულებს კოლმეურნეობებიდან დაერიცხებათ თვეში 20-25 შრომადღე (ერთი შრომადღის ღირებულება 1,72 მანეთი) და მიეცემათ ყოველთვიურად 10 მანეთი სწავლის მთელ პერიოდში. ხოლო ის კოლმეურნეობები, რომლებიც გარანტირებულ ანაზღაურებაზე არიან, მისცემენ შესაბამის ანაზღაურებას თვეში 45-50 მანეთს.

საბუთები მიიღება 30 ნოემბრამდე ყოველდღე 9-დან 5-საათამდე, კვირადღის გარდა.

სწავლა დაიწყება 1 დეკემბერს.

სკოლის მისამართი: ხაშური, რუსთაველის ქუჩა № 34. ხ. სოფლო-სამეურნეო სკოლა. ტელეფონი 27-02.

ტრაქტორი—სკოლას

სოფელ გავაზის (ყვარელი) საშუალო სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკის შესწავლას. სკოლადამთავრებული ახალგაზრდები აქ სიმწიფის ატესტატთან ერთად იღებენ ავტომძღოლობისა და ტრაქტორის მართვის მოწმობას.

ამ დღეებში მოსწავლეებმა კარგი ხაჩუქარი მიიღეს — განათლების სამინისტრომ სკოლას შეუძინა ახალი მძლავრი ტრაქტორი „ტ-54".

ა. თვალიავშვილი.

ტელევიზია

12 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00—ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— „ხელმარჯვე ოსტატები". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო ფილმების მეექვსე საკავშირო ფესტივალი სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოეთის ბავშვები" — „დე მუდამ იყოს მზე". უზბეკეთის სსრ, 11.50 — მხატვრული ფილმი „პრიკლოვის მილიონები" (პირველი სერია), 16.20 — „პრეზია" — ავეტიკ ისააკიანი (გადაცემა ერევნიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 16.50 — კინონარკვევი. 17.00 — მოსწავლეთათვის გერმანული ენა. 17.30 — განცხადებები, 17.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 18.20 — სატელევიზიო ფილმების მეექვსე საკავშირო ფესტივალი. სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოეთის ბავშვები" — „მოვდივარ საძებრად" უკრაინის სსრ, 19.10 — „სამართლის ცოდნა — მასებს", 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ევროპის პირველობა ფეხბურთში: საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა კიევიდან), 21.45 — კინოჟურნალი, 22.00 — „ერემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ანსამბლი „რუსთავი" ესპანეთში". დასასრულ — ახალი ამბები.

რადიო

13 ნოემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — საუბარი „პარტიული ხელმძღვანელობა — კომკავშირს", 12.15 — ა. მაჭავარიანი, პიესები საფორტეპიანო სუიტა „ოტელოდან", 12.25 — „სცენის ოსტატები", 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.00 — „უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — „გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ჯაჯიკური მუსიკა, 17.00 — „უკანასკნელი ცნობები, 17.35 — მოსწავლეთათვის რადიონარკვევი „სამშობლოს დიდ მამთავდაში", 18.00 — საინფორმაციო ბიულეტენი. „ამიერკავკასიის მომქმე საბჭოთა რესპუბლიკებში", 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „სოციალისტური ცხოვრების წესის სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები", 19.20 — ნ. გუდიაშვილი საფორტეპიანო სონატინა, 19.45 — ი. დუნაევსკი. კინოფილმების მუსიკა, 20.00—უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30—ქართული ხალხური მუსიკა, 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — „ხალხი უ